განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:
საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები, მათ შორის, მაგალითად, სოიოს შროტი, წარმოადგენს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის სექტორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკვებ კომპონენტს. საქართველოში არსებული საკანონმდებლო რეგულაციებიდან გამომდინარე, დღესდღეობით ქვეყანაში დაშვებული არაა გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტი და გადამუშავება ცხოველის საკვების წარმოების მიზნით. შესაბამისად, საქართველოს მოთხოვნა ამ პროდუქტზე სრულად არის დამოკიდებული იმპორტზე, რაც ზრდის როგორც ფასების მერყეობის, ისე მიწოდების რისკებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების, მათ შორის, გენმოდიფიცირებული სოიოს მარცვლის იმპორტისა და ადგილობრივი გადამუშავების დაშვება მკაფიოდ განსაზღვრული რეგულაციური ჩარჩოს ფარგლებში. აღნიშნული მიდგომა არ ეწინააღმდეგება მონრეალის 2000 წლის 29 იანვრის „ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენის ოქმს“. ამასთან, ევროკავშირის კანონმდებლობა არ ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, გახდნენ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისაგან თავისუფალი ზონა. შესაბამისად, დღესდღეობით ევროკავშირის არცერთი ქვეყანის ტერიტორია არ წარმოადგენს ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისაგან თავისუფალ ზონას, თუმცა, ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში აკრძალულია მათი კულტივაცია და აღნიშნული საკითხი ექვემდებარება მკაცრ რეგულირებას.

კანონპროექტის მიხედვით, კვლავ აკრძალული რჩება, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქცია, საბაზრო ქსელში განთავსება, იმპორტი (გარდა მათი ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით იმპორტისა და საქართველოს ტერიტორიაზე ცხოველის საკვების წარმოების მიზნით გადამუშავებისთვის დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტისა) და რეექსპორტი. ლიცენზირების რეჟიმს კი დაექვემდებარება მხოლოდ იმ სახეობის ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტი და გადამუშავება, რომელიც განკუთვნილია ცხოველის საკვების წარმოების მიზნით და რეგისტრირებულია ევროკავშირის გენმოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველთა საკვების რეესტრში, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთი მიდგომა სრულად შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას, სადაც ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების, გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ცხოველების საკვების წარმოებისთვის და მკაცრად აკრძალულია მისი დათესვა და კულტივაცია. საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახეობები მტკიცდება და განახლდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ამასთან, პოტენციური რისკების თავიდან აცილების მიზნით

საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვებელია ცოცხალი გენმოდიფიცირებული სიმინდის, ხორბლისა და ვაზის იმპორტი.

აღსანიშნავია, რომ „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი ვერსია, რომელიც შემუშავებული იყო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ და რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2014 წელს მიიღო, ითვალისწინებდა გაცილებით ლიბერალურ მიდგომას ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტსა და გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების დაშვებული სახეობები განისაზღვრებოდა მინისტრის ბრძანებით და შეტანილი იყო შესაბამის რეესტრში. ამ სახეობების გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტი დასაშვები იყო როგორც მათი შემდგომი გადამუშავების, ასევე საბაზრო ქსელში განთავსების მიზნით და აღნიშნული არ საჭიროებდა ლიცენზიას. ასევე, დასაშვები იყო რეექსპორტი. ლიცენზია გათვალისწინებული იყო მხოლოდ გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის კლასიფიცირებული იყო უსაფრთხოების მეორე კლასის მიხედვით. წარმოდგენილი კანონპროექტი კი აწესებს უფრო მკაცრ რეგულირებას. კერძოდ, მნიშვნელოვნად ზღუდავს საქართველოს ტერიტორიაზე ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემოტანასა და გამოყენებას გარდა ჩაკეტილ სისტემაში მათი გამოყენებისა და ცხოველის საკვების საწარმოებლად გადამუშავებისთვის განკუთვნილი იმ სახეობებისა, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით და რეგისტრირებულია ევროკავშირის გენმოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველთა საკვების რეესტრში. აღნიშნული საქმიანობები სრულად ექვემდებარება ლიცენზირებას. წარმოდგენილი კანონპროექტით ასევე აკრძალულია ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების საბაზრო ქსელში განთავსება და რეექსპორტი.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ადგილობრივი გადამუშავების განვითარება ქმნის რამდენიმე მნიშვნელოვან ეფექტს. უპირველეს ყოვლისა, მცირდება იმპორტზე დამოკიდებულება მზა პროდუქტის (შროტის) ნაწილში და იზრდება ღირებულების შექმნა ქვეყნის შიგნით. მეორე მხრივ, წარმოების ლოკალიზაცია ამცირებს ლოგისტიკურ და ტრანსპორტირების ხარჯებს, რაც საბოლოოდ პოზიტიურად აისახება საკვების თვითღირებულებაზე და შესაბამისად, მეცხოველეობის პროდუქციის ფასებზე. გარდა ამისა, ადგილობრივი გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის განვითარება ზრდის ეკონომიკურ აქტივობას, ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და აძლიერებს სექტორის კონკურენტუნარიანობას.

მნიშვნელოვანია, ასევე, ტექნოლოგიური ასპექტი, მაგალითად სოიოს მარცვლის გადამუშავების პროცესში (თერმული და მექანიკური ზემოქმედების შედეგად) პროდუქტი კარგავს გამრავლების უნარს, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს გარემოსდაცვით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია გენმოდიფიცირებული კულტურების გავრცელებასთან. შესაბამისად, სწორად რეგულირებული მოდელის პირობებში შესაძლებელია ბიოუსაფრთხოების დაცვა და ეკონომიკური სარგებლის მიღება ერთდროულად.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„ა.ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხი, მისი მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებას.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების, მათ შორის, გენმოდიფიცირებული სოიოს იმპორტის და გადამუშავების დაშვება (ლიცენზიის საფუძველზე), მკაცრი კონტროლისა და მიზნობრივი გამოყენების პირობებში (ცხოველის საკვების წარმოებისთვის), უზრუნველყოფს მიწოდების სტაბილურობას, ამცირებს ფასებზე ზეწოლას და ქმნის საფუძველს ადგილობრივი წარმოების მდგრადი განვითარებისათვის.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი იქნება ცვლილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ტერიტორიაზე დასაშვები გახდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმ სახეობის იმპორტი და გადამუშავება, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ცხოველის საკვების საწარმოებლად.

შესაბამისად, კანონს ემატება 10^1 მუხლი, რომელიც არეგულირებს ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმ სახეობის იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზიის გაცემის პროცედურასა და წესს, რომელიც გადამუშავდება მხოლოდ ცხოველის საკვების წარმოების მიზნით. საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული იქნება მხოლოდ იმ სახეობის ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტი და გადამუშავება, რომელიც რეგისტრირებულია ევროკავშირის გენმოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველთა საკვების რეესტრში. საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახეობებს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

10^1 მუხლი ითვალისწინებს შესაბამისი ლიცენზიის გაცემის წინაპირობებს, მათ შორის, პოტენციური საფრთხის (რისკის) შეფასებას და ადგენს ლიცენზიატის ვალდებულებებს საქმიანობის განხორციელების პროცესში. კერძოდ, ლიცენზიანტი ვალდებულია, თავისი საქმიანობა განახორციელოს უსაფრთხოების წესების დაცვით; უზრუნველყოს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების მიკვლევადობა იმპორტის, ტრანსპორტირების, შენახვის, გადამუშავებისა და მიღებული პროდუქტის შემდგომი გამოგენების ეტაპზე; შეინახოს და განაახლოს ინფორმაცია ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტირებული რაოდენობების, წარმოშობის, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების შესახებ; დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ.

ამ ცვლილებიდან გამომდინარე, ცვლილება შედის პირველ, მე-4, მე-7-მე-8, მე-11-მე-12, მე-15, 22-ე, 25-ე, 27-ე-28-ე მუხლებში. ამ ცვლილებების მიხედვით რეგულირდება ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტსა და გადამუშავებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები და პირობები.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებით (კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:
კანონი გარდა პირველი მუხლისა ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე. ხოლო, ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდება 2027 წლის პირველი იანვრიდან, ვინაიდან ამ მუხლით გათვალისწინებული წესების ამოქმედება დაკავშირებულია საქართველოს მთავრობის მიერ ცხოველის საკვების წარმოების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისა და გადამუშავებისთვის დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახეობათა შესახებ დადგენილების მიღებასთან. აღნიშნული დადგენილება საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს 2027 წლის პირველ იანვრამდე. ამასთან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2027 წლის პირველ იანვრამდე უნდა შეიმუშავოს და დაამტკიცოს საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზიის ფორმა.
კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):
კანონპროექტი მიზანშეწონილია მიღებულ იქნეს დაჩქარებული წესით, ვინაიდან მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში დასრულდეს შესაბამისი ცვლილებების ასახვა კანონმდებლობაში და შესაძლებელი გახდეს საქართველოს მთავრობის დადგენილებით საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმ სახეობის იმპორტი, რომელიც გადამუშავდება მხოლოდ ცხოველის საკვების წარმოების მიზნით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტისათვის/რეექსპორტისათვის „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს განახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური. აღნიშნული ზედამხედველობისა და კონტროლისთვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურის ასიგნებები. ხოლო, საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზიის გაცემას განახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. აღნიშნულთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების

წყაროა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების, მათ შორის, გენმოდიფიცირებული სოიოს მარცვლის იმპორტისა და ადგილობრივი გადამუშავების დაშვება (მკაფიოდ განსაზღვრული რეგულაციური ჩარჩოს ფარგლებში) ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოების განვითარებას. აღნიშნული, თავის მხრივ, გაზრდის ეკონომიკურ აქტივობას. შესაბამისად, მოსალოდნელია საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა, როგორც მოგების გადასახადის (სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე), ისე საშემოსავლო გადასახადის (სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე) მიმართულებით, რაც დაკავშირებულია ახალი საწარმოო პროცესების, დასაქმებისა და ბიზნესაქტივობის ზრდასთან. ამასთან, იზრდება დაკავშირებული სექტორების - ტრანსპორტის, ლოგისტიკისა და მომსახურების - ბრუნვაც, რაც დამატებით ფისკალურ ეფექტს ქმნის.

მნიშვნელოვანია, რომ იმპორტის სტრუქტურის ცვლილება (მზა პროდუქციიდან ნედლეულზე გადასვლა) საგადასახადო შემოსავლებს არ ამცირებს, არამედ საშუალოვადიან პერიოდში ქმნის მათი ზრდის პოტენციალს, რადგან ღირებულების უფრო დიდი ნაწილი დაიბეგრება ქვეყნის შიგნით.

ამასთანავე, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით, გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტისა და გადამუშავებისთვის წესდება სალიცენზიო მოსაკრებელი 20 000 ლარის ოდენობით. შესაბამისად ის სუბიექტები, რომლებიც მოიპოვებენ აღნიშნული საქმიანობის ლიცენზიას, მოსაკრებლის სახით გადაიხდიან შესაბამის თანხას. გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე სრულად დამოკიდებული იქნება იმ სუბიექტების ოდენობაზე, რომლებიც განახორციელებენ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტსა და გადამუშავებას.

ამ კანონპროექტიდან გამომდინარე ცვლილება შედის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, რომლითაც სამართალდარღვევად განისაზღვრება საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზიის პირობების დარღვევა და საქმიანობის განხორციელება ლიცენზიის გარეშე. სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხა დამოკიდებული იქნება ჩადენილ სამართალდარღვევათა რაოდენობასა და დაკისრებული ჯარიმის ოდენობაზე. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზიის პირობების დარღვევისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა 15 000 ლარის ოდენობით. საქმიანობის განხორცილება შესაბამისი ლიცენზიის გარეშე დაჯარიმდება 25 000 ლარით, ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებისა და ყველა შემდეგ ჯერზე ჩადენის შემთხვევაში კი პირი დაჯარიმდება 50 000 ლარით. აღნიშნულს გავლენა ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რომლის ოდენობაც დამოკიდებული იქნება ჩადენილ სამართალდარღვევათა რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტისათვის/რეექსპორტისათვის „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს განახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსების ფარგლებში. ხოლო, საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზიის გაცემას განახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების, მათ შორის, გენმოდიფიცირებული სოიოს მარცვლის იმპორტისა და ადგილობრივი გადამუშავების დაშვება (მკაფიოდ განსაზღვრული რეგულაციური ჩარჩოს ფარგლებში) ხელს შეუწყობს ადგილობრივი გადამუშავების განვითარებას. ამასთან, ადგილობრივი გადამუშავების განვითარება დაკავშირებულია ახალი საწარმოო პროცესებისა და ბიზნესაქტივობის ზრდასთან, რაც ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და პოტენციურ საწარმოში დასაქმებულთა შემოსავლების ზრდას.

ადგილობრივი გადამუშავების განვითარება შეამცირებს იმპორტზე დამოკიდებულებას მზა პროდუქტის (შროტის) ნაწილში, რაც თავის მხრივ ამცირებს გარე შოკების, საერთაშორისო ფასებისა და მიწოდების შეფერხებების გავლენას სამომხმარებლო სექტორზე. გარდა ამისა, ადგილობრივი გადამუშავების განვითარება დადებით გავლენას მოახდენს იმ სექტორებზე, რომლებიც სოიოს შროტს საკვებ დანამატად იყენებენ. წარმოების ლოკალიზაცია ამცირებს ლოგისტიკურ და ტრანსპორტირების ხარჯებს, ზრდის პროდუქტის ხელმისაწვდომობას. შედეგად, კი მოსალოდნელია პროდუქციის თვითღირებულების შემცირება ან სტაბილურობის ხელშეწყობა.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტისა და გადამუშავებისთვის კანონპროექტი ითვალისწინებს შესაბამისი ლიცენზიის გაცემის წინაპირობებს, მათ შორის, პოტენციური საფრთხის (რისკის) შეფასებას და ადგენს ლიცენზიატის ვალდებულებებს საქმიანობის განხორციელების პროცესში. შესაბამისად, აღნიშნული გავლენას მოახდენს იმ პირებზე,

ვისზეც ვრცელდება კანონის მოქმედება. გარდა ამისა, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით, გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტისა და გადამუშავებისთვის წესდება სალიცენზიო მოსაკრებელი 20 000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ის სუბიექტები, რომლებიც მოიპოვებენ აღნიშნული საქმიანობის ლიცენზიას, მოსაკრებლის სახით გადაიხდიან შესაბამის თანხას.

ამასთან, კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება, კერძოდ, იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომლებიც საქმიანობას განახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზიის გარეშე ან დაარღვევენ აღნიშნული ლიცენზიის პირობებს. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის იმპორტისა და გადამუშავების ლიცენზიის პირობების დარღვევისთვის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“ გათვალისწინებული იქნება ჯარიმა 15 000 ლარის ოდენობით; საქმიანობის განხორციელება შესაბამისი ლიცენზიის გარეშე კი დაჯარიმდება 25 000 ლარით, ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებისა და ყველა შემდეგ ჯერზე ჩადენის შემთხვევაში კი პირი დაჯარიმდება 50 000 ლარით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების

არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:
ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:
ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს პარლამენტის წევრები: შოთა ბერეკაშვილი, მაია ბითაძე, ანტონ ობოლაშვილი, გიორგი ბარვენაშვილი, ილია ინჯია, თორნიკე ბერეკაშვილი, ირაკლი მეზურნიშვილი, გიორგი ჭყონია, გიორგი ხახუბია, დავით დოლიძე და ვარლამ ლიპარტელიანი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს პარლამენტის წევრები: შოთა ბერეკაშვილი, მაია ბითაძე, ანტონ ობოლაშვილი, გიორგი ბარვენაშვილი, ილია ინჯია, თორნიკე ბერეკაშვილი, ირაკლი მეზურნიშვილი, გიორგი ჭყონია, გიორგი ხახუბია, დავით დოლიძე და ვარლამ ლიპარტელიანი.